# 2021 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა ზოგად უნარებში (მათემატიკური ნაწილი)

## 1. არითმეტიკა და ალგებრა

| | |
|---|---|
| 1. ნატურალური რიცხვები | ნატურალური რიცხვების ჩაწერა ციფრებით.<br>ლუწი და კენტი რიცხვები.<br>ჯერადი და გამყოფი; მარტივი რიცხვები. |
| 2. წილადები და მთელი რიცხვები | ათწილადები, დადებითი და უარყოფითი რიცხვები;<br>რიცხვთა შედარება;<br>არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე;<br>არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები. |
| 3. ნაწილი და პროცენტი | რიცხვის ნაწილისა და პროცენტის პოვნა;<br>რიცხვის პოვნა ნაწილისა და პროცენტის მიხედვით; იმის დადგენა, თუ ერთი რიცხვი მეორის რა ნაწილი ან პროცენტია. |
| 4. შეფარდება და პროპორცია | პროპორციის ძირითადი თვისება;<br>პროპორციულ ნაწილებად დაყოფა;<br>მასშტაბი |
| 5. რიცხვითი ღერძი | რიცხვების გამოსახვა რიცხვით ღერძზე;<br>წერტილის კოორდინატი რიცხვით ღერძზე. |
| 6. ალგებრული გამოსახულება: | ალგებრული გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა;<br>ალგებრულ გამოსახულებათა გარდაქმნა: მსგავსი წევრების შეერთება, საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა, მამრავლებად დაშლა; ორი რიცხვის ჯამისა და სხვაობის კვადრატის, აგრეთვე – კვადრატების სხვაობის ფორმულები. |
| 7. განტოლება; განტოლების ამონახსნი (ფესვი) | წრფივი განტოლების ამოხსნა |
| 8. წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა | |
| 9. რიცხვის ნატურალური ხარისხი და მისი თვისებები. | |
| 10. მიმდევრობა; ფუნქცია; ფუნქციის გრაფიკი. | |
| 11. საშუალო არითმეტიკული. | |

## 2. გეომეტრია

| | |
|---|---|
| 1. გეომეტრიული ფიგურები სიბრტყეზე | წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი;<br>კუთხე, კუთხის საზომი ერთეული – გრადუსი;<br>მართი, გაშლილი, მახვილი და ბლაგვი კუთხეები;<br>მოსაზღვრე, ვერტიკალური, ჯვარედინად მდებარე კუთხეები და მათი თვისებები;<br>მრავალკუთხედი;<br>მრავალკუთხედის დიაგონალი, წესიერი მრავალკუთხედი, მრავალკუთხედის პერიმეტრი;<br>სამკუთხედის უტოლობა;<br>სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი;<br>ტოლფერდა, ტოლგვერდა, მართკუთხა სამკუთხედები და მათი თვისებები;<br>დამოკიდებულება სამკუთხედის გვერდებსა და მათ მოპირდაპირე კუთხეებს შორის;<br>პითაგორას თეორემა;<br>სამკუთხედის ფართობის გამოსათვლელი ფორმულა;<br>რომბი, მართკუთხედი, პარალელოგრამი, კვადრატი და მათი თვისებები;<br>მართკუთხედის, პარალელოგრამის, კვადრატის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები;<br>წრეწირი, წრე; ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი;<br>წრეწირის სიგრძის გამოსათვლელი ფორმულა;<br>წრის ფართობის გამოსათვლელი ფორმულა. |
| 2. სიმეტრიული ფიგურები; ღერძული სიმეტრია. | |
| 3. პარალელური და მართობული წრფეები; პარალელურ წრფეთა თვისებები. | |
| 4. მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე. | |

| | |
|---|---|
| 5. გეომეტრიული სხეულები: | კუბი, მართკუთხა პარალელეპიპედი, პირამიდა, სფერო, ბირთვი, ცილინდრი;<br>კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობის გამოსათვლელი ფორმულები. |

## 3. მონაცემთა ანალიზი

| | |
|---|---|
| 1. მონაცემთა წარმოდგენის ხერხები | ცხრილი;<br>სკალა;<br>გრაფიკი, წრიული დიაგრამა, ხაზოვანი დიაგრამა, სვეტოვანი დიაგრამა. |

## 4. ალბათობის თეორია

| | |
|---|---|
| 1. ხდომილობა და მისი ალბათობა. | |

## 5. ზომა, ზომის ერთეულები

| | |
|---|---|
| 1. სიგრძე. სიგრძის ერთეულები | სანტიმეტრი (სმ), დეციმეტრი (დმ), მეტრი (მ), კილომეტრი (კმ) |
| 2. ფართობი. ფართობის ერთეულები | კვადრატული სანტიმეტრი (სმ$^2$), კვადრატული მეტრი (მ$^2$), კვადრატული კილომეტრი (კმ$^2$), ჰექტარი (ჰა). |
| 3. მოცულობა. მოცულობის ერთეულები | კუბური სანტიმეტრი (სმ$^3$), კუბური მეტრი (მ$^3$), ლიტრი. |
| 4. მასა. მასის ერთეულები | გრამი (გ), კილოგრამი (კგ), ტონა (ტ). |
| 5. სიჩქარე. სიჩქარის ერთეულები | მეტრი/წამში (მ/წმ), კილომეტრი/საათში (კმ/სთ). |
| 6. დრო. დროის ერთეულები | წამი, წუთი, საათი, დღე-ღამე, კვირა, თვე, წელიწადი, საუკუნე. |